

ბავშვის უფლებები

სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი)

სტაგნო ბელგიის წინააღმდეგ

2009 წლის 7 ივლისი

მამის გარდაიცვალის შემდეგ, ორ არასრულწლოვან მომჩივანს, და რამდენიმე სხვა მემკვიდრეს, როგორც მათი მამის სიცოცხლის დაზღვევის ბენეფიციარებს, სადაზღვევო კომპანიამ გარკვეული თანხა გადაუხადა. მომჩივნების დედამ, რომელიც კანონის თანახმად შვილების საკუთრების განმკარგავი იყო, თანხა განათავსა შემნახველ ანგარიშზე. აღნიშნული თანხა შემნახველ ანგარიშზე წელიწადზე ნაკლებ დროში აღარ იყო. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ თითოეულმა მომჩივანმა სარჩელი აღძრა დედისა და სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ. შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მათ დედის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი უკან გაიხმეს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დაობდნენ, რომ მათ დაერღვათ სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება, ამტკიცებდნენ რა, რომ ბელგიის სასამართლომ მათი სარჩელის ხანდაზმულად ცნობით, მათ ჩამოართვა სასამართლოს წინაშე არსებული ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, იმის გათვალისწინებით, რომ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ათვლა მათი არასრულწლოვანების პერიოდში არ შეჩერდა, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებს იმ პერიოდში სამართალწარმოების დაწყება არ შეეძლოთ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში „სტრასბურგის სასამართლო“ ან „ევროპული სასამართლო“) დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას (სამართლიანი სასამართლოს უფლება - სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა). ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ბელგიის სასამართლოებმა, მიიჩნიეს რა, რომ ხანდაზმულობის ვადა არასრულწლოვანების შემთხვევაში არ უნდა შეჩერებულიყო, სადაზღვევო კომპანიის ინტერესი უფრო წინ დააყენეს. მომჩივნებისათვის სრულწლოვანების მიღწევამდე ფაქტობრივად შეუძლებელი იყო კომპანიის წინააღმდეგ მათი უფლებების დაცვა და როდესაც ისინი უკვე გახდნენ სრულწლოვანები, კომპანიის მიმართ არსებული მათი მოთხოვნა ხანდაზმული გახლდათ. საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინების გარეშე კანონით დადგენილი ვადის მკაცრმა გამოყენებამ მომჩივნებს ხელი შეუშალა მათთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებით სარგებლობაში.

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი)

შვილად აყვანის ბათილად ცნობა

ზაიეტი რუმინეთის წინააღმდეგ

2015 წლის 14 მარტი

საქმე შეეხებოდა შვილად აყვანილის დის ინიციატივით პირის შვილად აყვანის ბათილად ცნობას. აღნიშნული განხორციელდა მისი შვილად აყვანიდან 31, ხოლო მშვილებელი დედის გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ. მომჩივანი დაობდა, რომ მისი შვილად აყვანის ბათილად ცნობა თვითნებობას და მის ოჯახურ ცხოვრებაში არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენდა. მან განაცხადა, რომ მშვილებელ დედასთან ერთად 9 წლის ასაკიდან ცხოვრობდა და რომ მათი ურთიერთობა დაფუძნებული იყო სიყვარულზე, პასუხისმგებლობასა და ორმხრივ მხარდაჭერაზე. მომჩივანი, ასევე, დაობდა, რომ შვილად აყვანის ბათილად ცნობის შემდეგ, მან დაკარგა საკუთრების უფლება ტყის ხუთ ჰექტარზე, რომელიც მან მშვილებელი დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო.

ეს იყო პირველი შემთხვევა, სადაც ევროპულ სასამართლოს შვილად აყვანის გაუქმებაზე უნდა ემსჯელა იმ კონტექსტში, როდესაც მშვილებელი დედა გარდაცვლილი იყო, ხოლო შვილად აყვანილ ბავშვს დიდი ხანია მიღწეული ჰქონდა სრულწლოვანების ასაკს. მომჩივნის საქმეზე, სტრასბურგის სასამართლომ, მიიჩნია რომ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება ბუნდოვანი იყო და რომ ასეთი რადიკალური ღონისძიების გატარება არ იყო გამართლებული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა არ იყო გამართლებული შესაბამისი და საკმარისი მიზეზებით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, შვილად აყვანის გაუქმება შვილად აყვანილი ბავშვის საწინააღმდეგოდ გასატარებელ ღონისძიებად არც უნდა იყოს გათვალისწინებული და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართლებრივ დებულებებსა და შვილად აყვანასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში, ბავშვის ინტერესს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. სტრასბურგის სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ სადავო მიწაზე მომჩივნის საკუთრების უფლებაში არაპროპორციული ჩარევის საფუძველზე, ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევას.

ოჯახის გაერთიანების უფლება

სენი ჰოლანდიის წინააღმდეგ

2001 წლის 21 დეკემბერი

მომჩივნები გახლავთ თურქი წარმოშობის წყვილი და მათი ქალიშვილი, რომელიც 1983 წელს თურქეთში დაიბადა და რომელიც დედამ 1986 წელს დედის მეურვეობის ქვეშ დატოვა, როდესაც თავად მეუღლესთან წავიდა ჰოლანდიაში. მომჩივნები დაობდნენ, რომ მათი ქალიშვილისთვის ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე უარის თქმის გამო, რის შედეგადაც იგი მათ ჰოლანდიაში ვერ შეუერთდა, დაირღვა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. მათ ჰყავდათ კიდევ ორი შვილი, რომლებიც 1990 და 1994 წლებში ჰოლანდიაში დაიბადნენ და ყოველთვის მშობლებთან ერთად ცხოვრობდნენ.

სტრასბურგის სასამართლოს მოსთხოვეს დაედგინა, ეკისრებოდათ თუ არა ჰოლანდიის ხელისუფლების ორგანოებს პოზიტიური ვალდებულება მესამე მომჩივნისათვის ჰოლანდიაში, მათ მშობლებთან ერთად, ცხოვრების უფლება მიენიჭებინა. სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნულის თაობაზე განაცხადის გაკეთებისას მესამე მომჩივნის მცირეწლოვანების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მესამე მომჩივანმა მთელი ცხოვრება თურქეთში გაატარა და რომ მას ძლიერი კავშირები ჰქონდა საკუთარი ქვეყნის კულტურულ და ლინგვისტურ გარემოსთან, სადაც კვლავ ცხოვრობდნენ მისი ნათესავები. მიუხედავად ამისა, არსებობდა დიდი დაბრკოლება ოჯახის დანარჩენი წევრების თურქეთში დაბრუნებასთან დაკავშირებით. პირველი ორი მომჩივანი ჰოლანდიაში დაფუძნდა, სადაც ისინი წლების განმავლობაში კანონიერად ცხოვრობდნენ; მათი ორი შვილიც მუდმივად ჰოლანდიაში ცხოვრობდა და სკოლაშიც იქ დადიოდა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ჰოლანდიამ ვერ დაიცვა მომჩივნის ინტერესსა და საკუთარ ინტერესს, კერძოდ, ემიგრაციის კონტროლის თაობაზე, შორის სამართლიანი ბალანსი და, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის (ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევას.

იხ. აგრეთვე: Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands, 2005 წლის 1-ლი დეკემბრის გადაწყვეტილება.

ოსმანი დანიის წინააღმდეგ

2011 წლის 14 ივნისი

15 წლის ასაკში ეროვნებით სომალელი მომჩივანი, რომელიც მშობლებთან და დამასთან ერთად 7 წლის ასაკიდან დანიაში ცხოვრობდა, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ მამამ ბებუის მოსავლელად ლტოლვილთა ბანაკში, კენიაში, გაგზავნა. ორი წლის შემდეგ, როდესაც ის ჯერ კიდევ არასრულწლოვანი გახლდათ, მან განაცხადი გააკეთა დანიაში ოჯახთან დაბრუნების თაობაზე, თუმცა მისი განცხადება დანიის ემიგრაციის სამსახურმა არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ მის ბინადრობის ნებართვას ვადა ჰქონდა ამოწურული, რადგან მომჩივანი ზედიზედ 12 თვის განმავლობაში დანიაში არ იმყოფებოდა. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად მას არ მიეცა ახალი ბინადრობის ნებართვა. აღნიშნული ცვლილება წარდგენილი იქნა იმისათვის, რომ ემიგრანტი მშობლები შეეჩერებინა, უფრო ტრადიციული აღზრდის მისაღებად, მათი პატარა შვილების წარმოშობის ქვეყანაში გაგზავნისაგან. მხოლოდ 15 წლამდე ასაკის ბავშვებს შეეძლოთ ოჯახის გაერთიანების მოთხოვნით განაცხადის გაკეთება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი შეიძლება მიჩნეულ ყოფილიყო დასახლებულ მიგრანტად, რომელმაც მთელი თავისი ბავშვობა ან ბავშვობის უმეტესი ნაწილი დანიაში გაატარა და, ამრიგად, მისთვის ახალი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმისათვის საჭირო იყო სერიოზული გამამართლებელი მიზეზები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი, რომელსაც ეფუძნებოდა ბინადრობის ნებართვაზე უარი, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - ხელი შეეშალათ მშობლებისათვის მათი შვილები სამშობლოში გაეგზავნათ, რათა მათ იქ „ხელახლა მიეღოთ განათლება“ იმგვარად, რაც მათი აზრით შეესაბამებოდა მათ ეთნიკურ წარმომავლობას - ბავშვთა პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების უგულვებელყოფა დაუშვებელია. საქმის გარემოებების მიხედვით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ მომჩივნის ინტერესები საკმარისად მიიღეს მხედველობაში და რომ დაცული იყო სამართლიანი ბალანსი სახელმწიფოს მიერ ემიგრაციის კონტროლთან მიმართებით.

ბერიშა შვეიცარიის წინააღმდეგ

2013 წლის 30 ივლისი

წინამდებარე საქმე ეხება შვეიცარიელი ხელისუფლების ორგანოების უარს ბინადრობის ნებართვა მიენიჭებინათ მომჩივანთა სამი შვილისათვის, რომლებიც კოსოვოში დაიბადნენ და შვეიცარიაში უკანონო გზით შევიდნენ და, აგრეთვე, ხელისუფლების წარმომადგენლების გადაწყვეტილებას ბავშვების კოსოვოში გაძევების თაობაზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნების შვეიცარიაში ცხოვრება მათ გააზრებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და რომ მათ კოსოვოში ცხოვრებას შვეიცარიაში დაფუძნება ამჯობინეს; მათი სამი შვილი შვეიცარიაში არ ცხოვრობდა საკმარისად ხანგრძლივად, რათა სრულად დაევიწყებინათ სამშობლოსთან კავშირი, სადაც ისინი დაიბადნენ, გაიზარდნენ და წლების განმავლობაში განათლებას იღებდნენ. უფრო მეტიც, ბავშვებს კვლავ ჰქონდათ კოსოვოში ოჯახური კავშირები. მომჩივანთა ორი უფროსი, 17 და 19 წლის, შვილი იმ ასაკში იყვნენ, რომ მათ ხელს ვერაფერი შეუშლიდა ემოგზაურათ ან კოსოვოში დარჩენილიყვნენ უმცროს ბავშვთან, რომელიც 10 წლის იყო, მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. აგრეთვე ეროვნულ სამართალწარმოებაში მომჩივანთა მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიის ხელისუფლების ორგანოებს, მომჩივანთა შვილებისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმით, მე-8 მუხლის გათვალისწინებული შეფასების ფარგლებისათვის არ გადაუჭარბებიათ.

მუგენზი საფრანგეთის წინააღმდეგ, ტანდა-მუზინგა საფრანგეთის წინააღმდეგ და სენიგო ლონგი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ

2014 წლის 10 ივლისი

აღნიშნული საქმეები შეეხებოდა მომჩივანთათვის ვიზის მოპოვებისას წარმოქმნილ სირთულეებს. მომჩივანთა შვილებისათვის ვიზის მიცემა მიზნად ისახავდა ოჯახების გაერთიანებას. მომჩივნები წარმოადგენდნენ პირებს, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ ლტოლვილის სტატუსი და საფრანგეთში კანონიერად ცხოვრების უფლება. მომჩივნები დაობდნენ, რომ საკონსულოს თანამშრომლების მიერ ოჯახის გაერთიანების მიზნით მათი შვილებისათვის ვიზის გაცემაზე უარი, არღვევდა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ ოჯახის გაერთიანების შესახებ განცხადების განხილვის პროცედურა რამდენიმე ელემენტისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, რომელიც გაითვალისწინებდა, ერთი მხრივ, მომჩივანთა ლტოლვილის სტატუსს

და, მეორე მხრივ, ბავშვების საუკეთესო ინტერესს. კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) განმტკიცებული მათი ინტერესების თვალსაზრისით პროცედურული მოთხოვნები დაცული იყო.

სამივე შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. გამომდინარე იქედან, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ მომჩივანთა კონკრეტული გარემოებები ჯეროვნად არ გაითვალისწინა, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ოჯახის გაერთიანების პროცედურამ მომჩივნებს არ შესთავაზა ეფექტურობისა და სისწრაფის აუცილებელი გარანტია, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა. ამის გამო, საფრანგეთის სახელმწიფომ არ დაიცვა სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, მომჩივანთა ინტერესებს და, მეორე მხრივ, ემიგრაციის კონტროლის საკუთარ ინტერესს შორის.

იხ. აგრეთვე Ly v. France, დასაშვებობასთან დაკავშირებული 2014 წლის 17 ივნისის განჩინება (ევროპულმა სასამართლო საჩივარი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, მიიჩნია რა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი მთლიანობაში მომჩივანს საშუალებას აძლევდა ჩართულიყო პროცესში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისი უფლებები დაცული იქნებოდა.)

სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების სამართლებრივი აღიარება

მენესონი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ და ლაბასი საფრანგეთის წინააღმდეგ 2014 წლის 26 ივნისი

წინამდებარე საქმეები ეხება საფრანგეთში მშობლისა და შვილის ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებაზე უარს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სუროგაციის შედეგად წარმოიშვა. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ბავშვთა საუკეთესო ინტერესებისათვის ზიანის მიყენებით, მათ არ შეეძლოთ საფრანგეთში მშობლისა და შვილის ურთიერთობის აღიარება მოეპოვებინათ, რომელიც სამართლებრივად საზღვარგარეთ წარმოიშვა.

ევროპულმა სასამართლომ შემდგომში ორივე საქმეში მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, რომელიც ეხებოდა ბავშვთა უფლებას, პატივი სცენ მათ პირად ცხოვრებას. ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ, რომ ბავშვები

ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულნი იყვნენ როგორც ბ-ნი და ქ-ნი ლაბასის შვილები, მომჩივნებს ეს სტატუსი ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით არ მიაკუთვნა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს წინააღმდეგობა ფრანგულ საზოგადოებაში ეჭვქვეშ დააყენებდა ბავშვების იდენტობას. სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ სასამართლო პრაქტიკა სრულებით გამორიცხავდა სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას კანონიერი სუროგაციის შედეგად უცხოეთში დაბადებულ ბავშვებსა და მათ ბიოლოგიურ მამას შორის. აღნიშნული აჩარბებდა სახელწმიფოებისთვის იმ სფეროში მინიჭებულ ფართო შეფასების ზღვარს, რომელიც სუროგაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს შეეხებოდა.

დ. და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (საჩ.ნომ. 29176/13)

2014 წლის 8 ივლისი (განჩინება, ნაწილობრივ ამოირიცხა საქმეთა სიიდან; ნაწილობრივ დაუშვებლად იქნა ცნობილი)

მოცემული საქმე შეეხებოდა ბელგიის ხელისუფლების თავდაპირველ უარს, ნებართვა გაეცათ ბელგიის ტერიტორიაზე უკრაინაში სუროგაციით გაჩენილი ბავშვის ჩამოსვლას. ბავშვის მშობლები ბელგიელები იყვნენ. მომჩივნები საჩივარს კონვენციის მე-3 მუხლს (არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლს (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) აყრდნობდნენ.

სტრასბურგის სასამართლოში საჩივრის წარდგენის შემდეგ საქმეში განვითარებული მოვლენების, კერძოდ, ბავშვისთვის ბელგიაში ჩასვლის ნებართვის მიცემის გათვალისწინებით, სადაც იგი მომჩივნებთან ერთად ცხოვრობს, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის ეს ნაწილი გადაწყვეტილია და უნდა ამოირიცხოს საჩივარი იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც ბელგიის ხელისუფლება ბავშვისთვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემაზე უარს აცხადებდა. ევროპულმა სასამართლომ საჩივრის დარჩენილი ნაწილი დაუშვებლად ცნო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების უარმა, რომელიც მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც მომჩივნებმა ბავშვთან ოჯახური კავშირის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულება წარადგინეს, განაპირობა ბავშვის მომჩივნებისგან განცალკევება და მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა, ბელგიის ხელისუფლება მოქმედებდა მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად მისთვის მიკუთვნებული ფართო დისკრეციის ფარგლებში („შეფასების ფართო ზღვარი“).

ევროპულმა სასამართლომ, აგრეთვე, მიიჩნია, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზი იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ბავშვი მომჩივნებისგან განცალკევებით ყოფნის დროს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას დაექვემდებარა.

განხილვაში მყოფი საჩივრები

პარადისო და კომპანელი იტალიის წინააღმდეგ (საჩ.ნომ. 25358/12)

2015 წლის 27 იანვარი - 2015 წლის ივნისში საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას

აღნიშნული საქმე ეხება ცხრა თვის ბავშვის სოციალური მზრუნველობის სახლში მოთავსებას, რომელიც წყვილის (მომჩივნების) მიერ გესტაციური სუროგაციის თაობაზე ხელშეკრულების დადების შედეგად, რუსეთში, დაიბადა; მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მათ ბავშვთან ბიოლოგიური კავშირი არ ჰქონდათ. მომჩივნები ჩივიან მათთვის ბავშვის ჩამორთმევის და, აგრეთვე, იტალიაში ბავშვის დაბადების მოწმობის რეგისტრაციის შედეგად უცხოეთში დადგენილი მშობლისა და შვილის კავშირის აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

2015 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ, ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ, დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო პოლიტიკის დასკვნები, რომელიც ეფუძნებოდა იტალიის ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, რომელმაც დაადგინა, რომ მომჩივნებმა სცადეს თავი აერიდებინათ იტალიაში არსებულ სუროგაციის აკრძალვასა და საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებულ წესებს, ვერ იქნებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე უპირატესი. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა ბიოლოგიური კავშირი და მომჩივნები ბავშვს მცირე დროის განმავლობაში უვლიდნენ, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ბავშვის ოჯახიდან მოშორება იყო უკიდურესი ღონისძიება, რომლის გამოყენებაც გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ბავშვის წინააღმდეგ მიმართული მყისიერი საფრთხე. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში, ბავშვის ჩამოშორებისათვის გამამართლებელი პირობები არ იქნა დაკმაყოფილებული. სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში დაადგინა, ეს დასკვნა იმგვარად არ უნდა ყოფილიყო გაგებული, რომ იტალიის სახელმწიფოს მომჩივნებისთვის ბავშვის დაბრუნების ვალდებულება ჰქონდა, მიუხედავად იმისა,

რომ ბავშვს უდავოდ განუვითარდა ემოციური კავშირი მიმღებ ოჯახთან, რომელთან ერთადაც იგი 2013 წლიდან ცხოვრობდა.

2015 წლის 1 იანვარს იტალიის მთავრობის მოთხოვნით საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა.

ლაბორი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (საჩ. ნომ. 44024/13)

საქმე საფრანგეთის მთავრობას გადაეცა 2015 წლის 16 იანვარს

აღნიშნული საქმე ეხება საფრანგეთში ფრანგი წყვილის მიერ მათსა და უკრაინაში სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს შორის მშობლისა და შვილის კავშირის აღიარების მოპოვების შეუძლებლობას.

ევროპულმა სასამართლომ საჩივრის შესახებ აცნობა საფრანგეთის მთავრობას და მხარეებს კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) შეკითხვები დაუსვა.

ფულონი საფრანგეთის წინააღმდეგ (საჩ. ნომ. 9063/14) და ბუვეტი საფრანგეთის წინააღმდეგ (საჩ. ნომ. 10410/14)

საქმე საფრანგეთის მთავრობას გადაეცა 2015 წლის 16 იანვარს

ორივე საქმე ეხება საფრანგეთში ეროვნებით ფრანგის მიერ მასსა და შესაბამისად ერთ და ორ ბავშვს შორის ინდოეთში სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის მშობლისა და შვილის კავშირის აღიარების მოპოვების შეუძლებლობას.

ევროპულმა სასამართლომ საჩივრის შესახებ აცნობა საფრანგეთის მთავრობას და მხარეებს კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) შეკითხვები დაუსვა.

წარმოშობის თაობაზე ცნობების მოპოვების უფლება

მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ

2002 წლის 7 თებერვალი

წინამდებარე საქმე ეხება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, რომელმაც, დედასთან ერთად, მამობის დადგენის მიზნით სარჩელი აღძრა. მომჩივანი დაობდა, რომ ხორვატიული სამართალი კაცებს, რომელთა წინააღმდეგაც მამობის დადგენის

შესახებ წარდგენილია სარჩელი, არ ავალდებულებს დაემორჩილონ სასამართლოს ბრძანებას, ჩაიტარონ დნმ ტესტი და რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მისი მამის ვინაობის დაუდგენლობამ, მომჩივანი პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვეველობაში დატოვა. იგი, ასევე, დაობდა სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის და სასამართლო პროცესის დაჩქარებისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალების არ არსებობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევას. სასამართლომ განაცხადა, რომ მამობის დადგენის თაობაზე სარჩელის განხილვისას, ეროვნულ სასამართლებს მოეთხოვებათ გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ხელმისაწვდომი პროცედურა არ იცავდა სამართლიან ბალანსს მომჩივნის უფლებას, პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვეველობა ზედმეტი გაჭიანურების გარეშე აღმოეფხვრა, და მისი სავარაუდო მამის მიერ დნა ტესტის ჩატარებაზე უარის თქმას შორის. შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების არაეფექტურობამ მომჩივანი მის პიროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით განგრძობით გაურკვეველობაში დატოვა. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში) და მე-13 მუხლის (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება) დარღვევას.

ოდევრე საფრანგეთის წინააღმდეგ

2003 წლის 13 თებერვალი (დიდი პალატა)

მომჩივანი ბიოლოგიურმა დედამ დაბადებისთანავე მიატოვა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის დეპარტამენტში დატოვა. დედამისი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისი ვინაობა მომჩივნისაგან საიდუმლოდ დარჩენილიყო. მომჩივანი სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ იყო და შემდგომში შვილად აყვანის სრული წესის დაცვით გააშვილეს. მომჩივანი შემდგომში ეცადა გაეგო მისი ბიოლოგიური მშობლებისა და და-ძმების ვინაობა. მის მოთხოვნას უარი ეთქვა, ვინაიდან მისი მიტოვება მოხდა სპეციალური პროცედურის მიხედვით, რომელიც ბიოლოგიურ დედებს უფლებას აძლევდა მათი ვინაობა ანონიმურად დარჩენილიყო. მომჩივანი ჩიოდა, რომ მას არ ჰქონდა საშუალება მოეპოვებინა ინფორმაცია მისი ბიოლოგიური ოჯახის ვინაობის თაობაზე და აცხადებდა, რომ აღნიშნულის განუხორციელებლობა მას დიდ ზიანს აყენებდა, რადგან მას

ჩამორთმეული ჰქონდა მისი ცხოვრების ისტორიის აღდგენის შანსი. იგი დამატებით აცხადებდა, რომ დაბადებასთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის მომწესრიგებელი ფრანგული კანონები დაბადების ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენდა.

დიდი პალატის გადაწყვეტილებით სტრასბურგის სასამართლომ მოცემულ საქმეში აღნიშნა, რომ დაბადება და, კერძოდ, გარემოებები, რომელშიც დაბადებულ იქნა ბავშვი, წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლით განმტკიცებულ პირად ცხოვრებას. წინამდებარე საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება). სტრასბურგის სასამართლო აცხადებს, რომ მომჩივანს იდენტიფიკაციის გარეშე მიეცა ინფორმაცია დედისა და ბიოლოგიური ოჯახის შესახებ, რაც მას აძლევდა საშუალებას აღმოეჩინა მისი ფესვები ისე, რომ დაცული ყოფილიყო მესამე მხარის ინტერესები. დამატებით, კანონმდებლობაში 2002 წელს გატარებული ცვლილებებმა კონფიდენციალურობის დარღვევა შესაძლებელი გახადა და ჩამოაყალიბა სპეციალური ორგანო, რათა ხელი შეეწყოს ბიოლოგიური წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. მომჩივანს ახლა შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული კანონმდებლობა და მოითხოვოს დედამისის ვინაობის გაცხადება, რაც დაქვემდებარებული იქნება ამ უკანასკნელის თანხმობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ დედის უფლება და მომჩივნის ლეგიტიმური მოთხოვნა სამართლიანად იქნეს დაცული. ამრიგად, ფრანგული კანონმდებლობა მოითხოვს დაცული იყოს ბალანსი და შეპირისპირებულ ინტერესებს შორის საკმარისი პროპორცია არსებობდეს. ევროპულმა სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან ერთად, დაადგინა, რომ მომჩივანს წარმომავლობასთან დაკავშირებით დისკრიმინაცია არ განუცდია, ვინაიდან მას ჰქონდა მშობლიური კავშირი მიმღებ მშობლებთან და სამომავლო ინტერესი მათი საკუთრების მიმართ. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს არ შეეძლო განეცხადებინა, რომ ბიოლოგიურ დედასთან დაკავშირებული მისი სიტუაცია მსგავსი იყო იმ ბავშვების სიტუაციისა, რომლებსაც მათ ბიოლოგიურ დედასთან აღიარებული მშობლიური კავშირი ჰქონდათ.

ა.მ.მ. რუმინეთის წინააღმდეგ (საჩ. ნომ. 2151/10)

2012 წლის 14 თებერვალი

საქმე ეხებოდა არასრულწლოვნის მამის ვინაობის დადგენის თაობაზე სამართალწარმოებას. არასრულწლოვანი 2001 წელს ქორწინების გარეშე დაიბადა და იგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. მისი დაბადების მოწმობაში მითითებულია, რომ მამის ვინაობა უცნობია. ევროპული სასამართლოს წინაშე, მომჩივანი თავდაპირველად წარმოდგენილი იყო დედის, ხოლო შემდგომში, მას შემდეგ, რაც დედამისს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა, დედის მხრიდან ბების მიერ.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მიუთითა რა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაიცვეს სამართლიანი ბალანსი ბავშვის უფლებას, სამართალწარმოების დროს დაცული ყოფილიყო მისი ინტერესები, და მისი სავარაუდო მამის უფლებას შორის, რომ არ ჩაეტარებინა მამობის დამდგენი ტესტი ან არ მიეღო მონაწილეობა სამართალწარმოებაში.

გოდელი იტალიის წინააღმდეგ

2012 წლის 25 სექტემბერი

წინამდებარე საქმე ეხებოდა ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას და დედის მიერ მიტოვებული პირის მიერ მისი წარმომავლობის თაობაზე ინფორმაციის მიღების შეუძლებლობას. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი პირადი ისტორიის არ ცოდნა მას სერიოზულ ზიანს აყენებდა. მესამე პირთა ინტერესების დაცვის გამო მას არ შეეძლო მიეკვლია მისი ფესვებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება). კერძოდ, მიიჩნია, რომ საფრთხის ქვეშ მყოფ ინტერესებს შორის არ იქნა დაცული სამართლიანი ბალანსი, ვინაიდან იტალიის კანონმდებლობა, იმ საქმეებში, სადაც დედამ მიიღო გადაწყვეტილება არ გაემჟღავნებინა საკუთარი ვინაობა, შემდგომში გაშვილებულ შვილს არ აძლევდა მისი წარმომავლობის თაობაზე თუნდაც არაიდენტიფიცირებული ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას. იტალიის კანონმდებლობა, აგრეთვე, არ ითვალისწინებდა ბიოლოგიური დედის ვინაობის გამჟღავნების შესაძლებლობას ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაშიც კი.

კანონე საფრანგეთის წინააღმდეგ

2015 წლის 2 ივნისი (განჩინება დასაშვებობის თაობაზე)

მოცემულ საქმეში, მომჩივანი ჩიოდა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, გენეტიკური ტესტის ჩატარების თაობაზე სასამართლოს ბრძანების დაუმორჩილებლობის საფუძველზე, დაასკვნეს, რომ ის გახლდათ ახალგაზრდა ქალის მამა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგული კანონმდებლობის თანახმად პირებს, რომლებიც მამობის დადგენასთან დაკავშირებული სარჩელების მოპასუხეები იყვნენ, ეკისრებოდათ ვალდებულება წარედგინათ დნმ ტესტი, რათა დადგენილიყო, რომ ისინი არ წარმოადგენდნენ მამებს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ირღვეოდა ადამიანის სხეულის მთლიანობის ურღვეობის პრინციპი, რომელიც, მისი მოსაზრებით, კრძალავდა სამოქალაქო საქმეებში გენეტიკური ტესტის ჩატარების იძულებას.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაკავშირებული მომჩივნის საჩივრები დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ გადაუჭარბებიათ მათთვის მინიჭებული შეფასების ფართო ზღვარი, როდესაც მათ მხედველობაში მიიღეს მომჩივნის უარი, წარედგინა სასამართლოს მიერ მოთხოვნილი გენეტიკური ტესტი და იგი ახალგაზრდა ქალის მამად გამოაცხადეს, რითიც მათ უპირატესობა მიანიჭეს ამ უკანასკნელის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

იხ., აგრეთვე, სხვებს შორის: *Gaskin v. the United Kingdom*, 1989 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება; *Ebru and Tayfun Engin Çolak v. Turkey*, 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება; *Kalacheva v. Russia*, 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება; *Grönmark v. Finland and Backlund v. Finland*, 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება; *Pascaud v. France*, 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება; *Laakso v. Finland*, 2013 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება; და *Röman v. Finland*, 2013 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მე-9 მუხლი)

დოგრუ საფრანგეთის წინააღმდეგ და კერვანცი საფრანგეთის წინააღმდეგ
2008 წლის 4 დეკემბერი

მომჩივნები, რომლებიც ორივე მუსულმანები გახლდნენ, 1998-1999 წელს სახელმწიფო დაწყებითი სკოლის პირველ კლასში ჩაირიცხნენ. ისინი არაერთხელ

დაესწრნენ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს, სადაც, მიუხედავად მათი მასწავლებლის განმეორებითი მოთხოვნისა მოეხსნათ თავსაბურავები, მათ უარი განაცხადეს აღნიშნულის შესრულებაზე და მაინც ატარებდნენ მას. სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გულმოდგინების ვალდებულების დარღვევის გამო მომჩივნები სკოლიდან გაერიცხათ, რადგან ისინი აღნიშნულ გაკვეთილებში აქტიურად ვერ იღებდნენ მონაწილეობას. ეს გადაწყვეტილება ეროვნულმა სასამართლოებმა ძალაში დატოვეს.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ არცერთ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-9 მუხლის (რელიგიის თავისუფლება) დარღვევას. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ისეთი თავსაბურავის ტარება, როგორცაა ისლამური ჩადრი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე შეუთავსებელი იყო სპორტის გაკვეთილებთან, დასაბუთებელი იყო. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ დაკისრებული სასჯელი მომჩივანთა მიერ სკოლაში გამოყენებადი წესების დაუმორჩილებლობის შედეგი იყო და არა, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, მათი რელიგიური შეხედულების გამო სასჯელის დაკისრების.

აკტასი საფრანგეთის წინააღმდეგ, ბაირაკი საფრანგეთის წინააღმდეგ, გამალედინი საფრანგეთის წინააღმდეგ, ლაზალი საფრანგეთის წინააღმდეგ, ჯ.სინგი საფრანგეთის წინააღმდეგ და რ.სინგი საფრანგეთის წინააღმდეგ

2009 წლის 30 ივნისი (განჩინება დასაშვებობის თაობაზე)

წინამდებარე საჩივრები ეხება რელიგიური კუთვნილების თვალსაჩინო სიმბოლოების ტარების გამო ექვსი მოსწავლის სკოლიდან გარიცხვას. 2004-2005 წლებში ისინი ჩაირიცხნენ სხვადასხვა სახელმწიფო სკოლაში. გოგოები, რომლებიც მუსულმანები არიან, სკოლის პირველ დღეს სკოლაში ჩადრით ან თავსაბურავით გამოცხადდნენ. სიქიზმის მიმდევარი ბიჭები კი პაგრის (ჩალმას) ატარებდნენ. ვინაიდან მათ უარი განაცხადეს თავსაბურავების მოხსნაზე, მათ უარი ეთქვათ საკლასო ოთახებში შესვლაზე. ოჯახთან საუბრის შემდეგ მომჩივნები განათლების კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო სკოლიდან გარიცხეს. ევროპული სასამართლოს წინაშე ისინი ჩიოდნენ სკოლების მიერ მათთვის თავსაბურავის ტარების აკრძალვის თაობაზე. მომჩივნები საჩივარს კონვენციის მე-9 მუხლზე აფუძნებდნენ.

ევროპულმა სასამართლომ საჩივრები დაუშვებლად (აშკარად დაუსაბუთებელი) მიიჩნია, დაადგინა რა, რომ მოსწავლეთა რელიგიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დადგენილი იყო კანონით და ემსახურებოდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა სახელმწიფოს, როგორც სხვადასხვა რელიგიის, რწმენის და შეხედულებების გამოხატვის მიუკერძოებელი მომწესრიგებლის როლზე. რაც შეეხება სასჯელის სახით მოსწავლეთა სკოლიდან გაძევებას, იგი არ იყო მისალწვევი მიზნების არაპროპორციული, რადგან მოსწავლეებს კვლავ ჰქონდათ შესაძლებლობა სწავლა შესაბამის კურსებზე გაეგრძელებინათ.

გრეელაკი პოლონეთის წინააღმდეგ

2010 წლის 15 ივნისი

პირველი ორი მომჩივანი, რომლებიც აგნოსტიკებს წარმოადგენდნენ, მესამე მომჩივნის მშობლები იყვნენ. მშობლების სურვილის შესაბამისად მესამე მომჩივანი სკოლაში რელიგიის გაკვეთილებს არ ესწრებოდა. მისი მშობლები სისტემატურად სთხოვდნენ სკოლას, რომ მათი შვილისთვის ეთიკის გაკვეთილების ჩატარების ორგანიზება გაეკეთებინათ. თუმცა, აღნიშნული გაკვეთილის ჩატარების უზრუნველყოფა, მსურველთა არასაკმარისი ოდენობის გამო, მესამე მომჩივნისათვის მისი სკოლაში ყოფნის პერიოდში, არც დაწყებით და არც საბაზო ეტაპზე, არ განხორციელებულა. მისი სკოლის სერთიფიკატები „რელიგიის/ ეთიკის“ გაკვეთილის შესახებ მითითების ნაცვლად ტირეს შეიცავდა.

ევროპულმა სასამართლომ მშობლებთან მიმართებაში საჩივარი დაუშვებლად ცნო (*incompatible ratione personae*), ბავშვთან მიმართებაში კი დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-9 მუხლთან (რელიგიის თავისუფლება) ერთად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მესამე მომჩივნის მიერ სკოლაში სიარულის პერიოდში სკოლის სერთიფიკატებში „რელიგია/ეთიკის“ ნიშნის არ არსებობა წარმოადგენდა გაუმართლებელ სტიგმატიზაციას, რაც არღვევდა მესამე მომჩივნის რელიგიის მანიფესტაციის უფლებას.

გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მუხლი)

კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ

2001 წლის 10 მაისი (დიდი პალატა)

მოცემულ საქმეში, რომელიც 1974 წლის ივლისსა და აგვისტოში თურქეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შემდეგ ჩრდილოეთ კვიპროსში არსებულ მდგომარეობასა და კვიპროსის ტერიტორიის გაყოფას ეხება, კვიპროსი, სხვათა შორის, ამტკიცებდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, რაც გამოწვეული იყო სასკოლო სახელმძღვანელოების მიმართ დაწესებული გადაჭარბებული ცენზურით.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსში მცხოვრები ბერძენი კვიპროსელების მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევას, ვინაიდან სასკოლო წიგნები, რომლითაც მათ დაწყებით სკოლაში უნდა ეხელმძღვანელათ, ექვემდებარებოდა გადაჭარბებულ ცენზურას.

დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-14 მუხლი)

შვილად აყვანასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებები

მარქსი ბელგიის წინააღმდეგ

1979 წლის 13 ივნისი

დაუქორწინებელი ბელგიელი დედა ჩიოდა, რომ მასა და მის ქალიშვილს უარი ეთქვათ იმ უფლებებზე, რომლებიც მინიჭებული აქვთ დაქორწინებულ დედებსა და მათ შვილებს: შვილობის დასადგენად მას ბავშვი სამართლებრივად საკუთარ შვილად უნდა ეცნო ან დაეწყო სამართალწარმოება (დაქორწინებულ დედებს შეუძლიათ დაეყრდნონ დაბადების მოწმობას); აღიარების სავალდებულოობა ზღუდავდა მომჩივნის შესაძლებლობას, საკუთარი ქონება შვილისათვის ანდერძით დაეტოვებინა და ბავშვსა და დედის ოჯახს შორის სამართლებრივ კავშირს არ წარმოქმნიდა. მომჩივანი მხოლოდ დაქორწინებითა და შემდეგ საკუთარი ქალიშვილის შვილად აყვანით (ან ლეტიტიმაზიის პროცესის გავლით) უზრუნველყოფდა, რომ მის შვილს იგივე უფლებები ექნებოდა, რაც ქორწინებით დაბადებულ ბავშვებს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე მომჩივანთან მიმართებით ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან ერთად. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვევას განაპირობებდა ბავშვსა და დედის ოჯახს შორის სამართლებრივი კავშირის ნაკლებობა, აგრეთვე, ბავშვის მემკვიდრეობის უფლებისა და დედის თავისუფლების შეზღუდვა, აირჩიოს თუ როგორ განკარგოს საკუთრება. გადაწყვეტილების მიღების დროს ბელგიის პარლამენტში განიხილებოდა კანონპროექტი დაქორწინებული და დაუქორწინებელი მშობლების შვილებს შორის არსებული განსხვავებული მოპყრობის აღმოფხვრის თაობაზე. *(ამჟამად ქორწინების გარეშე დაბადებული შვილები იგივე უფლებებით სარგებლობენ როგორც ქორწინებაში გაჩენილი ბავშვები.-რედ. შენიშვნა).*

ინზი ავსტრიის წინააღმდეგ

1987 წლის 28 ოქტომბერი

მომჩივანი სამართლებრივად უფლებამოსილი არ იყო მემკვიდრეობით მიეღო დედის ფერმა, რომელსაც გარდაცვალებამდე ანდერძი არ ჰქონდა დაწერილი, ვინაიდან იგი ქორწინების გარეშე იყო დაბადებული. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი 23 წლის ასაკის მიღწევამდე მუშაობდა აღნიშნულ ფერმაში, მთელი ფერმა მემკვიდრეობით მისმა უმცროსმა ძმამ მიიღო. სასამართლო მორიგებით, საბოლოოდ მომჩივანს მიწის ის ნაწილი მიაკუთვნეს, რომლის მიცემასაც დედამისი სიცოცხლეში დაპირდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთად (საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება). სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელიც განმარტებული უნდა იქნეს არსებული გარემოებების ფონზე. სტრასბურგის სასამართლომ, აგრეთვე, ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ქორწინებით და ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს შორის მათ სამოქალაქო უფლებებთან მიმართებით თანასწორობის მნიშვნელობას და დაადგინა, იმისათვის, რომ ქორწინების გარეშე დაბადების საფუძველზე განსხვავებული მოპყრობა კონვენციასთან შესაბამისი იყოს, წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მნიშვნელოვანი მიზეზები.

მაზურეკი საფრანგეთის წინააღმდეგ

2000 წლის 1-ლი თებერვალი

ადიულტერული ურთიერთობის შედეგად დაბადებულ მომჩივანს, იმ დროისათვის (1990) არსებული კანონის თანახმად, შეზღუდული ჰქონდა მემკვიდრეობის უფლება საკუთრების ნახევრით, რადგან ქორინებაში დაბადებული შვილიც დაობდა დედის საკუთრებასთან მიმართებით. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ დაერღვა საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთად. ევროპის საბჭოს სხვა წევრ ქვეყნებში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ, საფრანგეთის მთავრობის შეფასებების საპირისპიროდ, აღნიშნა, რომ არსებობდა აშკარა ტენდენცია ცოლ-ქმრული ღალატის შედეგად დაბადებულ ბავშვებთან მიმართებით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. ევროპული სასამართლო უყურადღებოდ ვერ დატოვებდა კონვენციის შესაბამისი დებულებების განმარტების მსგავს განვითარებას, რომელიც უთუოდ ევოლუციური იყო. სტრასბურგის სასამართლომ წინამდებარე საქმეზე დაადგინა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობისათვის არ არსებობდა რაიმე გამამართლებელი მიზეზი. ნებისმიერ შემთხვევაში, შვილი არ შეიძლება დადანაშაულებულ იქნეს იმ მოვლენებისათვის, რაშიც მას ბრალი არ მიუძღვის. გამომდინარე იქედან, რომ მომჩივანი ცოლ-ქმრული ღალატის შედეგად დაბადებულ ბავშვს წარმოადგენდა, იგი საკუთრების განაწილებასთან მიმართებაში არახელსაყრელ პირობებში იქნა ჩაყენებული. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ ღონისძიებასა და მისაღწევ მიზანს შორის.

იხ. აგრეთვე: Merger and Cros v. France, 2004 წლის 22 დეკემბერის გადაწყვეტილება.

კამპი და ბოურიმი ჰოლანდიის წინააღმდეგ

2000 წლის 3 ოქტომბერი

პირველი მომჩივანი და მისი შვილი (მეორე მომჩივანი) იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან, მას შემდეგ, რაც პირველი მომჩივნის პარტნიორი მასთან ქორწინებამდე და, აგრეთვე, ბავშვის აღიარებამდე გარდაიცვალა (ეს მისი გაცხადებული განზრახვა იყო). მომჩივნის პარტნიორს

ანდერძი არ ჰქონია შედგენილი. იმდროინდელი ჰოლანდიური კანონმდებლობის თანახმად გარდაცვლილის საკუთრება მემკვიდრეობით მის მშობლებსა და და-ძმას ხვდა წილად. ამის შემდეგ ისინი საცხოვრებლად გარდაცვლილის სახლში გადავიდნენ. ბავშვი შემდგომში კანონიერად იქნა ცნობილი, თუმცა, ვინაიდან გადაწყვეტილება რეტროაქტიული არ იყო, იგი მამის მემკვიდრე ვერ გახდა.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან (ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთად. ევროპულმა სასამართლომ შენიშნა, რომ ბავშვს, რომელსაც მოპოვებული არ ჰქონდა კანონიერი აღიარება, მანამ სანამ მისი დაბადებიდან ორი წლის შემდეგ არ განხორციელდა აღნიშნული, არ ჰქონდა შესაძლებლობა მემკვიდრეობა მიეღო მამისაგან, განსხვავებით იმ ბავშვებისაგან, რომელთაც, გამომდინარე იქედან, რომ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს წარმოადგენდნენ ან რომლებიც მამამ კანონიერად ცნო, მოპოვებული ჰქონდათ მსგავსი ოჯახური კავშირი. ეჭვგარეშე იყო რომ ადგილი ჰქონდა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი პირების, დაბადების საფუძველზე, განსხვავებულად მოპყრობას. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იმისათვის, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მიმართ განსხვავებული მოპყრობა მიჩნეულ იქნეს კონვენციასთან შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს საკმარისი წონადი მიზეზები. ამასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდაცვლილის მხრიდან ადგილი არ ჰქონია გააზრებულ გადაწყვეტილებას, რომ კანონიერად არ ეცნო ბავშვი, რომელსაც პირველი მომჩივანი მუცლით ატარებდა. პირიქით, მას სურდა, რომ ეს უკანასკნელი ცოლად შეერთო და, შესაბამისად, ბავშვი მიჩნეულ იქნებოდა კანონიერად, ვინაიდან აღნიშნულ ქორწილს ხელი პირველი მომჩივნის პარტნიორის უდროოდ სიკვდილმა შეუშალა. ამრიგად, ევროპულ სასამართლოს შეეძლო არ გაეზიარებინა ჰოლანდიის მთავრობის არგუმენტები და მიეჩნია, რომ მამის მემკვიდრეობიდან შვილის ჩამოშორება არაპროპორციული იყო.

პლა და პუნკერნაუ ანდორის წინააღმდეგ

2004 წლის 13 ივლისი

პირველ მომჩივანს, რომელიც შვილად იყო აყვანილი, ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება და დედამისმა, მეორე მომჩივანმა, შესაბამისად დაკარგა ოჯახის საკუთრების ფლობის უფლება, მას შემდეგ, რაც ანდორის სასამართლოებმა ანდერძის ის მუხლი, რომელიც ადგენდა, რომ მემკვიდრე დაბადებული უნდა ყოფილიყო

„კანონიერი და ეკლესიური ქორწინების” შედეგად, იმგვარად განმარტეს, რომ იგი ეხებოდა მხოლოდ ბიოლოგიურ შვილებს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთად. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი მომჩივნის მშობლებს ჰქონდათ „კანონიერი და ეკლესიური ქორწინება” და რომ ანდერშში არ არსებობდა რაიმე მიმანიშნებელი იმისა, რომ შვილად აყვანილ ბავშვებს ჩამოერთმეოდათ მემკვიდრეობის უფლება. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება წარმოადგენდა „შვილად აყვანილი ბავშვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას სასამართლოს მიერ”, რაც „ამჟამად წინააღმდეგობაში მოდიოდა დისკრიმინაციის აკრძალვასთან” (გადაწყვეტილების 59-ე პარაგრაფი).

ბრაუერი გერმანიის წინააღმდეგ

2009 წლის 28 მაისი

მომჩივანს არ შეეძლო მემკვიდრეობა მიეღო მამისაგან, რომელმაც იგი „1949 წლის 1 ივლისამდე ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შესახებ” კანონის თანახმად კანონიერად ცნო. ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (სადაც მომჩივანმა თავისი ცხოვრების უმეტესობა გაატარა) კანონმდებლობის მიხედვით ხელმისაწვდომი თანაბარი მემკვიდრეობის უფლებები გამოყენებადი არ იყო, ვინაიდან, როდესაც გერმანია გაყოფილი იყო, მომჩივნის მამა გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში ცხოვრობდა. მომჩივანი ჩიოდა, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ, მამის საკუთრებიდან მისი გამოძევა წარმოადგენდა დისკრიმინაციულ მოპყრობას და სრულიად არაპროპორციული იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას მე-8 მუხლთან (ოჯახური და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) ერთად. სტრასბურგის სასამართლომ ვერ იპოვა რაიმე გარემოება, რაც დღევანდელობაში ქორწინების გარეშე დაბადების საფუძველზე არსებულ დისკრიმინაციას გაამართლებდა. ფაქტობრივად, მომჩივნისათვის მემკვიდრეობის მიღების ნებისმიერი სამართლებრივი უფლების წართმევა, მას უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა, ვიდრე მსგავს საქმეებში მყოფი სხვა მომჩივნები იყვნენ.

ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ

2013 წლის 7 თებერვალი (დიდი პალატა)

მომჩივანი 1943 წელს დაიბადა, მამამისსა და დაქორწინებულ ქალს შორის კავშირის შედეგად. აღნიშნულ ქალბატონს ქორწინებიდან უკვე ჰყავდა ორი შვილი. მომჩივანი 40 წლის ასაკში სამართლებრივად აღიარებული იქნა ამ უკანასკნელის „უკანონო“ შვილად. 1994 წელს, დედის გარდაცვალების შემდეგ, მომჩივანი ცდილობდა *inter vivos* გაყოფის გაუქმებას, აცხადებდა რა, რომ მას დედის ქონებიდან კანონიერი შვილების თანაბარი წილი ეკუთვნოდა. 2004 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებით *tribunal de grande instance*-მა მომჩივნის მიერ აღძრული სარჩელი დასაშვებად ცნო და დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. კანონიერი შვილების მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება. მომჩივანმა წარუმატებლად გაასაჩივრა სამართლის საკითხები. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მომჩივანი ჩიოდა, რომ მას არ მიეცა საშუალება ესარგებლა 2001 წელს წარმოდგენილი კანონით, რომელიც „ქორწინების გარეშე დაბადებულ“ ბავშვებს კანონიერი შვილების მსგავს სამემკვიდრეო უფლებებს ანიჭებდა და მიუთითებდა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 1-ლი თებერვლის გადაწყვეტილებაზე მაზურეკი საფრანგეთის წინააღმდეგ (იხ. ზემოთ).

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევას 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან ერთად (საკუთრების დაცვა). სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ნახევარდისა და ნახევარძმის სამემკვიდრეო უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი არ გადაწონდა მომჩივნის მოთხოვნას, მასაც მიეღო დედის საკუთრება და რომ, შესაბამისად, მასთან მიმართებით განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციული იყო, ვინაიდან მას არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.¹

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის მოქალაქეობის არ მინიჭება

ჯენოვისი მალტის წინააღმდეგ

2011 წლის 11 ოქტომბერი

¹ იხ. აგრეთვე, იმავე საქმესთან დაკავშირებით, დიდი პალატის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე. ევროპულმა სასამართლომ გააფორმა საფრანგეთის მთავრობასა და მომჩივანს შორის მიღწეული მეგობრული შეთანხმება და გადაწყვიტა, რომ საქმის დარჩენილი ნაწილი, კონვენციის 39-ე მუხლის მიხედვით, ამოერიცხა საქმეთა სიიდან.

მომჩივანი ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს წარმოადგენდა. დედა ბრიტანელი ჰყავდა, ხოლო მამა მალტელი. მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელის მამობა სასამართლოს მეშვეობით დადგინდა, მომჩივნის დედამ წარადგინა მოთხოვნა, რომ მის შვილს მალტის მოქალაქეობა მიეღო. მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს იმ საფუძვლით, რომ მალტის მოქალაქეობა არ შეიძლებოდა გაცემული ყოფილიყო ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებზე, რომელთა დედებიც მალტელები არ იყვნენ.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დადგენას მე-8 მუხლთან (ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) ერთად. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის შესახებ 1975 წლის ევროპული კონვენცია ძალაში იყო 20-ზე მეტ ევროპულ ქვეყანაში და განაცხადა, რომ წონადი მიზეზები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რათა დაბადების საფუძველზე განსხვავებული მოპყრობა გამართლებულიყო. მომჩივანი სხვა ბავშვების მსგავს მდგომარეობაში იყო, რომელთა მამებიც ეროვნებით მალტელები იყვნენ, ხოლო დედები სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ერთადერთი განსხვავებული ფაქტორი, რაც მას მოქალაქეობის მიღებაში ხელს უშლიდა, გახლდათ ის ფაქტი, რომ იგი ქორწინების გარეშე იყო დაბადებული. სტრასბურგის სასამართლო ვერ დაარწმუნა მალტის მთავრობის აგრუმენტებმა, რომ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს მშობლებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ, რაც მშობლების ქორწინებით იყო განპირობებული, რასაც ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. ზუსტად მსგავს კავშირზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობა იყო აკრძალული კონვენციის მე-14 მუხლით, გარდა იმ შემთხვევისა თუ აღნიშნული ობიექტურად იყო გამართლებული. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო ვერ გაიზიარა ის არგუმენტი, რომ დედის ვინაობა ყოველთვის ცნობილი იყო, ხოლო მამის არა. მომჩივნის საქმეზე, მამის ვინაობა ცნობილი იყო და მითითებული გახლდათ დაბადების მოწმობაში, მიუხედავად ამისა, მოქალაქეობის შესახებ კანონიდან გამომდინარე განსხვავებულ მოპყრობას კვლავ ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად ობიექტური ან დასაბუთებული მიზეზები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ბოშა ბავშვების „სპეციალურ“ სკოლაში მოთავსება

დ.3. და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ

2007 წლის 13 ნოემბერი (დიდი პალატა)

წინამდებარე საქმე ეხებოდა 18 ბომა ბავშვს, რომლებიც ჩეხეთის მოქალაქეები იყვნენ. ისინი 1996-1999 წლებში სპეციალური საჭიროებების, მათ შორის ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემების მქონე ბავშვების სკოლაში მოათავსეს. მომჩივნები დაობდნენ, რომ სპეციალური საგანმანათლებლო სისტემის არსებობაზე, სადაც სკოლებში ბომა ბავშვების სეგრეგაცია კვაზი-ავტომატური იყო.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შესაბამის დროს ჩეხეთის რესპუბლიკაში სპეციალურ სკოლაში მყოფი ბავშვების უმეტესობა ბომა ბავშვები იყვნენ. საშუალო ინტელექტის მქონე ბომა ბავშვებს ფსიქოლოგიური ტესტის საფუძველზე ხშირად ათავსებდნენ აღნიშნულ სკოლებში, ვინაიდან ეს ფსიქოლოგიური ტესტი ადაპტირებული არ იყო მათ ეთნიკურ წარმომავლობასთან. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ იმ დროს არსებულ კანონმდებლობას ბომა ბავშვებზე, პროპორციულობის დაუცველობით, მავნე გავლენა ჰქონდა, რაც არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა) 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (განათლების უფლება) ერთად.

ორსუსი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ

2010 წლის 16 მარტი (დიდი პალატა)

აღნიშნული საქმე ეხებოდა ბოშური წარმომავლობის თხუთმეტ ხორვატიელს, რომლებიც ჩიოდნენ, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ, რადგან ისინი მოათავსეს კლასში, სადაც მხოლოდ ბოშები სწავლობდნენ და შედეგად, მათ განიცადეს ფსიქოლოგიური და ემოციური ზიანი.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე შემთხვევა საქმისაგან დ.3. და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (იხილეთ ზემოთ) განსხვავდებოდა იმით, რომ ამ საქმეში ზოგადი პოლიტიკა არ იყო იმისა, რომ ბომა ბავშვები ავტომატურად განცალკევებულ კლასში მოეთავსებინათ, ორივე საქმეში საერთო პრობლემა გახლდათ ის, რომ ბომა ბავშვებისათვის ადექვატური სწავლების უზრუნველყოფისას, ევროპული ქვეყნები სერიოზული სირთულეების წინაშე იდგნენ. მოცემულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ სკოლებში სპეციალურ კლასებში მხოლოდ ბომა ბავშვებს ათავსებდნენ. ხორვატიის მთავრობა მოსწავლეთა განცალკევების მიზეზად ხორვატიული ენის ცუდად ცოდნას ასახელებდა; თუმცა, ტესტი, რომელიც

განსაზღვრავდა მათ ამგვარ კლასებში მოხვედრას ორიენტირებული არ იყო ენის ცოდნაზე, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ბომა ბავშვებს შემდეგში უნდა გაეცლოთ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე არ ამახვილებდა ყურადღებას და ამ კუთხით მოსწავლეთა წინსვლის მონიტორინგიც არ ხორციელდებოდა. შესაბამისად, მომჩივნების მოთავსება იმ კლასში, სადაც მხოლოდ ბომა ბავშვები იყვნენ, გაუმართლებელი იყო, რაც არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა) პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან ერთად (განათლების უფლება).

იხ. აგრეთვე: 2008 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება სამპანისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ; 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება დასაშვებობის თაობაზე ჰორვატი და ვადაძი უნგრეთის წინააღმდეგ; 2012 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სამპანისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ; 2013 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება ჰორვატი და ვადაძი უნგრეთის წინააღმდეგ; 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება ლავიდა და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ.

სწავლებაში ენის გამოყენება

საქმე. „ბელგიაში სწავლებისას ენის გამოყენების თაობაზე კანონმდებლობის გარკვეული ასპექტები“ ბელგიის წინააღმდეგ

1968 წლის 23 ივლისი

მომჩივნები, 800-ზე მეტი ფრანგულენოვანი ბავშვის მშობლები, მცხოვრებნი ბელგიის გარკვეულ ნაწილებში (უმეტესად გერმანულენოვანი), ჩიოდნენ, რომ მათ შვილებს უარი ეთქვათ ფრანგულ ენაზე სწავლების ხელმისაწვდომობაზე.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვებისათვის ფრანგულენოვანი სკოლაში სწავლაზე უარი, რომელსაც სპეციალური სტატუსი ჰქონდა და განკუთვნილი იყო ბრიუსელის გარეუბანში მცხოვრები ექვსი კომუნისათვის, ვინაიდან მათი მშობლები აღნიშნული კომუნის გარეთ ცხოვრობდნენ, წარმოადგენდა მე-14 მუხლის დარღვევას (დისკრიმინაციის აკრძალვა) 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (განათლების უფლება) ერთად. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ, აგრეთვე, დაადგინა, რომ კონვენცია არ უზრუნველყოფდა ბავშვის უფლებას მშობლის ენაზე მიეღო სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი განათლება.

საკუთრების დაცვა (კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი)

ს.ლ. და ჯ.ლ. ხორვატიის წინააღმდეგ (საჩ.ნომ. 13712/11)

2015 წლის 7 მაისი²

წინამდებარე საქმე ეხებოდა შეთანხმებას, ზღვისპირა ვილისა და უფრო ნაკლებად ღირებული ბინის გაცვლის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების თაობაზე სოციალური კეთილდღეობის ცენტრს თანხობა უნდა გაეცა, ვინაიდან ვილის მესაკუთრე ორი არასრულწლოვანი იყო, რომლებიც ამ საქმეში მომჩივნებს წარმოადგენენ. სოციალური კეთილდღეობის ცენტრმა შეთავაზებულ შეთანხმებაზე თანხმობა საქმის კონკრეტული გარემოებების ან ოჯახის საფუძვლიანად შესწავლის გარეშე გასცა. არასრულწლოვანების მშობლების სახელით მოქმედი ადვოკატი აღმოჩნდა, რომ ბინის თავდაპირველი მესაკუთრის სიძე იყო. მომჩივნების და მეორე მომჩივნის მამის, რომელიც ორივე გოგონას კანონიერი წარმომადგენელი იყო, მცდელობები სასამართლოში გაესაჩივრებინათ შეთანხმების კანონიერება წარუმატებლად დასრულდა, რადგან ადმინისტრაციული წარმოების დროს მათ გადაწყვეტილება სადავოდ არ გაუხდიათ, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის გოგონები არასრულწლოვანები იყვნენ, მეორე მომჩივნის მამა პატიმრობაში იმყოფებოდა, დედა ფინანსური პრობლემების მქონე ნარკო-დამოკიდებული პირი იყო, ხოლო მათ ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ხორვატიის სახელმწიფომ, სოციალური კეთილდღეობის ცენტრის მეშვეობით, ვერ უზრუნველყო მათი ინტერესების სათანადოდ დაცვა, გამომდინარე იქედან, რომ ვილას მნიშვნელოვნად მეტი ღირებულება ჰქონდა, ვიდრე იმ ბინას, რომელიც მათ სანაცვლოდ მიიღეს.

წინამდებარე საქმეზე მთავარი საკითხი მდგომარეობდა შემდეგში, საკუთრების გაცვლის თაობაზე შეთანხმების დადასტურებისას გაითვალისწინა თუ არა სახელმწიფომ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები. მომჩივნების, როგორც

² ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფში მოცემული გარემოებების არსებობისას.

არასრულწლოვნების, ინტერესების დაცვა სოციალური კეთილდღეობის ცენტრის მეშეობით სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო. სამოქალაქო სასამართლოების ვალდებულებას წარმოადგენდა განეხილა გაცვლის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ბრალდებები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ბავშვთა დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების საკითხს წამოჭრიდა. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების საქმეზე ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას, რადგან ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო აუცილებელი ღონისძიებების გატარება, რათა უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულებაში დაეცვა ბავშვთა საკუთრების უფლება, აგრეთვე, მომჩივნებს არ მიეცა ხელშეკრულების ეფექტურად გასაჩივრების გონივრული შესაძლებლობა.

განათლების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)

ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ

2005 წლის 13 დეკემბერი

მომჩივნის შვილები, რომლებიც შვიდი და ცხრა წლის იყვნენ, გარიცხეს სკოლიდან, სადაც ისინი ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ. აღნიშნულის მიზეზი გახლდათ ის, რომ მათი მამა, რომელიც ჩეჩენი იყო, არ იყო იმ ქალაქის მცხოვრები (ნალჩიკი, ყაბარდო-ბალკარეთი, რუსეთის რესპუბლიკა), სადაც ისინი ცხოვრობდნენ და რომ მას აღარ ჰქონდა მიგრანტის ბარათი, რომელიც ჩეჩნეთში დაკარგული საკუთრების კომპენსაციის სანაცვლოდ დათმო.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის შვილებს უარი ეთქვათ ყოფილიყვნენ იმ სკოლის მოსწავლეები, სადაც მანამდე ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ. რუსეთის მთავრობას არ გაუსაჩივრებია მომჩივნის არგუმენტი, რომ სკოლაში სწავლებაზე უარის ნამდვილი მიზეზი იყო ის, რომ მომჩივანმა ჩააბარა მიგრანტის ბარათი და, შესაბამისად, მას ჩამოერთვა ქალაქ ნალჩიკში მცხოვრებლად რეგისტრაციის უფლება. თუმცა, მთავრობამ დაადასტურა, რომ რუსეთის კანონმდებლობა ნებადართულად არ მიიჩნევდა ბავშვთა განათლების უფლების შეზღუდვას მშობლების რეზიდენტობის საფუძველზე. ამრიგად, მომჩივნის შვილებს უარი ეთქვათ განათლების უფლებაზე, რომელიც უზრუნველყოფილი იყო რუსული კანონმდებლობით. გამომდინარე იქედან, რომ რუსეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ბავშვების განათლების უფლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას მშობლების რეზიდენტობის საფუძველზე, ევროკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ

ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას.

ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ

2007 წლის 29 ივნისი (დიდი პალატა)

1997 წელს ნორვეგიის დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმა შეიცვალა: ორი საგანი, ქრისტიანობა და ფილოსოფია, ჩანაცვლდა ერთი საგნით, რომელიც მოიცავდა ქრისტიანობას, რელიგიასა და ფილოსოფიას. მომჩივნები წარუმატებლად ეცადნენ, რომ მათ შვილებს მისცემოდათ უფლება არ დასწრებოდნენ აღნიშნულ გაკვეთილს. ევროპული სასამართლოს წინაშე ისინი ჩიოდნენ, რომ გაკვეთილიდან ჩამოშორებასთან დაკავშირებულმა ხელისუფლების უარმა მათ ხელი შეუშალა უზრუნველყოთ, რომ მათი შვილები მათი რელიგიისა და ფილოსოფიური შეხედულებების შესაბამის განათლებას მიიღებდნენ.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას, კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო საგნის სასწავლო პროგრამა ქრისტიანობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, აცხადებდა რა, რომ დაწყებითი და საბაზო განათლების მიზანი მოსწავლეთათვის ქრისტიანული და მორალური აღზრდის მინიჭება იყო. სასწავლო პროგრამის გარკვეული ნაწილებიდან მოსწავლეთა გამორიცხვას აღნიშნული მოსწავლეების მშობლები შეიძლება მათი პირადი ცხოვრების გასაჯაროების რისკის ქვეშ დაეყენებინა და პოტენციური კონფლიქტის წარმოშობა დიდი ალბათობით მათ მსგავსი მოთხოვნის წარმოდგენის შესაძლებლობას წაართმევდა. იმავდროულად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი საგნის შემოღება, რომელიც ქრისტიანობას, სხვა რელიგიებსა და ფილოსოფიას ერთად შეიცავდა, შესაძლებელს გახდიდა უზრუნველყოფილიყო გახსნილი და ინკლუზიური სასკოლო გარემო, რაც, პრინციპში, შეესაბამებოდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით განმტკიცებულ პლურალიზმსა და ობიექტურობას.

ჰასანი და ეილემ ზენგინი თურქეთის წინააღმდეგ

2007 წლის 9 ოქტომბერი

მიუთითა რა, რომ მისი ოჯახი ალევის (ისლამის არაქრისტიანული მიმდინარეობა) მიმდევარი იყო, მომჩივანმა 2001 წელს მოითხოვა, რომ მისი ქალიშვილი, რომელიც სტამბულის საჯარო სკოლის მოსწავლე იყო, არ დასწრებოდა რელიგიის კულტურისა და ეთიკის გაკვეთილებს. საბოლოო უარი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ განაცხადა. მომჩივანი დაობდა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ხორციელდებოდა საჯარო სკოლაში რელიგიის კულტურის და ეთიკის სწავლება, კერძოდ, რომ ხდებოდა ტრადიციებისა და ისლამის რწმენის სუნიტური ინტერპრეტაციის შექება და რომ წარმოდგენილი არ იყო დაწვრილებითი ინფორმაცია სხვა რელიგიების შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას. სტრასბურგის სასამართლომ შეისწავლა თურქეთის განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებები რელიგიის კულტურის, ეთიკისა და სკოლის სახელმძღვანელოების თაობაზე და დაადგინა, რომ სასწავლო პროგრამა სხვა რელიგიებსა და ფილოსოფიებთან შედარებით ისლამს დიდ უპირატესობას ანიჭებდა და შეიცავდა კონკრეტულ ინსტრუქციებს მუსულმანური სარწმუნოების ძირითადი პრინციპების, მათ შორის კულტურული წესჩვეულებების, შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი და ებრაელი ბავშვებისათვის შესაძლებელი იყო, რომ ჩამოშორებული ყოფილიყვნენ რელიგიის კულტურისა და ეთიკის გაკვეთილებისაგან, აღნიშნული საგნები სავალდებულო იყო მუსულმანი ბავშვებისათვის, მათ შორის მათთვისაც, ვინც ალევის მიმდევრები იყვნენ.

კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) ევროპულმა სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ დარღვევა მომდინარეობდა პრობლემიდან, რომელიც დაკავშირებული იყო თურქეთში რელიგიური ინსტრუქციის სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციასა და მშობლების რწმენის პატივისცემის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მეთოდების არარსებობასთან. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თურქეთის საგანმანათლებლო სისტემისა და შიდა კანონმდებლობის კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან შესაბამისობაში მოყვანა კომპენსაციის სათანადო ფორმა იქნებოდა.

ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

2011 წლის 11 იანვარი

სკოლაში მომხდარი სროლების შესახებ პოლიციის მიერ გამოძიების წარმოებისას მომჩივანი სკოლიდან გარიცხეს, ვინაიდან იმ დროს იგი დანაშაულის ადგილის ახლოს იმყოფებოდა. მას შესთავაზეს ალტერნატიული სწავლების მეთოდები და, მას შემდეგ რაც მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება შეწყდა, მისი მშობლები სკოლაში მოიწვიეს შეხვედრაზე, რათა განხილული ყოფილიყო მომჩივნის სკოლაში დაბრუნების საკითხი. მშობლები შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ და, აგრეთვე, აჭიანურებდნენ გადაწყვეტილების მიღებას იმასთან დაკავშირებით სურდათ თუ არა შვილის სკოლაში დაბრუნება. შედეგად, მათი შვილის ადგილი სხვა ბავშვმა დაიკავა.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მიხედვით განათლების უფლება მოიცავდა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობას, ისევე, როგორც, თითოეული სახელმწიფოს წესების შესაბამისად, დასრულებული სწავლების ოფიციალურად აღიარების უფლებას. ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა განჭვრეტადი უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. იმავდროულად, განათლების უფლება აუცილებლად არ გულისხმობს კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობის უფლებას და, პრინციპში, არ გამორიცხავს ისეთი დისციპლინური ღონისძიებების გამოყენებას, როგორცაა მოსწავლის სტატუსის შეჩერება ან მისი გარიცხვა, რათა დაცული იყოს შიდასახელმწიფოებრივი წესები. წინამდებარე საქმეზე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის გარიცხვა არ წარმოადგენდა განათლების უფლების დარღვევას. მისი გარიცხვა მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების შედეგი იყო და, ამრიგად, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს. გარიცხვა განხორციელდა 1998 წლის აქტის შესაბამისად და, ამდენად, განჭვრეტადი იყო. დამატებით, მომჩივანი მხოლოდ დროებით გარიცხეს, სროლასთან დაკავშირებული გამოძიების დასრულებამდე. მისი მშობლები მოწვეულ იქნენ შეხვედრაზე იმ მიზნით, რომ ხელი შეწყობოდა მომჩივნის სკოლაში დაბრუნებას, თუმცა ისინი შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ. ისინი რომ გამოცხადებულყვნენ, დიდი ალბათობით მოხდებოდა მათი შვილის სკოლაში რეინტეგრაცია. გარდა ამისა, სკოლიდან გარიცხვის პერიოდში მომჩივანს ალტერნატიული სწავლება შესთავაზეს, თუმცა მან შეთავაზება არ მიიღო. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის გარიცხვა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული იყო და არ წარმოადგენდა მისი

განათლების უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

კატანი და სხვები მოლდოვის რესპუბლიკისა და რუსეთის წინააღმდეგ

2012 წლის 18 ოქტომბერი (დიდი პალატა)

აღნიშნული საქმე ეხება დნესტრისპირეთში მოლდოველი მშობლებისა და შვილების საჩივარს, რომელიც დაკავშირებული იყო 1992 და 1994 წელს სეპარატისტული რეჟიმის მიერ ენის შესახებ მიღებული პოლიტიკის გავლენაზე, რომელიც სკოლებში ლათინური ალფაბეტის გამოყენებას კრძალავდა და, აგრეთვე, ამ პოლიტიკის აღსასრულებლად გატარებული შემდგომ ღონისძიებებზე. ეს ღონისძიებები მოიცავდა მოლდოვურ/რუმინულ ენოვანი სკოლებიდან მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაძევებას, ისევე, როგორც სკოლების დახურვის და განსხვავებული პირობებით გახსნის იძულებას.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვის რესპუბლიკასთან მიმართებით ადგილი არ ჰქონია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას, ხოლო რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას ადგილი ჰქონდა 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სეპარატისტული რეჟიმი ვერ იარსებებდა რუსეთის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე და რომ სკოლების დახურვა კონვენციის მიხედვით რუსეთის იურისდიქციის ფარგლებში ექცეოდა. მეორე მხრივ, მოლდოვის რესპუბლიკამ არა მხოლოდ თავი შეიკავა სეპარატისტული რეჟიმის მხარდაჭერისაგან, არამედ მომჩივნების დასახმარებლად იჯარის გადახდით და ახალი სკოლების აღჭურვით, ისევე, როგორც მასწავლებელთა ხელფასებისა და ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფით მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია.

მანსურ იალჩინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ

2014 წლის 16 სექტემბერი

მოცემულ საქმეში მომჩივნები, რომლებიც ალევის, ისლამის არაქრისტიანული მიმდინარეობის, მიმდევრები იყვნენ, დაობდნენ, რომ სკოლებში რელიგიისა და ეთიკის სავალდებულო გაკვეთილების შინაარსი დაფუძნებული იყო ისლამის სუნიტურ გაგებაზე.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სამ მომჩივანთან დაკავშირებით, რომელთა შვილებიც იმ დროისათვის საშუალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ, ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიური ინსტრუქციის კუთხით თურქეთის განათლების სისტემა კვლავ არაადეკვატურად იყო მოწყობილი იმისათვის, რომ უზრუნველყო მშობელთა რწმენის პატივისცემა. გამომდინარე იქედან, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა განპირობებული იყო იმ სტრუქტურული პრობლემით, რომელიც უკვე იდენტიფიცირდა საქმეზე ჰასანი და ეილემ ზენგინი თურქეთის წინააღმდეგ, კონვენციის 46-ე მუხლის (გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება) თანახმად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთს უნდა მოეხდინა შესაბამისი ღონისძიებების იმპლენტაცია, რათა გაჭიანურების გარეშე აენაზღაურებინა გამოწვეული სიტუაცია, კერძოდ, კი შეექმნა სისტემა, სადაც მოსწავლეებს შეეძლებოდათ რელიგიისა და ეთიკის გაკვეთილებიდან ჩამოშორება, მათი მშობლების მიერ რელიგიური ან ფისოლოგიური მრწამსის გამჟღავნების გარეშე.